ანგარიშ ფაქტურის №

ქ.თბილისი

მიღების აქტი №

ბიუროს რეგისტრაციის №: 000275-2012/03/2

09 იანვარი 20012 წ.

ექსპერტიზის დამკვეთი: ქალბატონ მარი ქოქიაშვილს
(ორგანიზაცია, ფიზიკური პირის სახელი, გვარი)
(თანამდებობა, მისამართი, პირადობის მოწმობის №-ი)

შპს " ახალი ოფისი"-ს წარმომადგენელი

საქმის შემოსვლის თარიღი 30. 12. 2011 წ. საექსპერტო კვლევის დაწყება: 4 იანვარი 2012 წ.

☐ განჩინება, დადგენილება. საქმის №

☒ კერძო, მომართვა

დაკვეთილი ექსპერტიზის სახეობა საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა

კერძოდ: ქ. თბილისში, კვალის ქ-№13 არსებული მიწისქვეშა ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების და 802 მ² ფართზე მიწისზედა ღია ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობის დადგენის შესახებ.

შემსრულებელი ექსპერტი (სპეციალისტი)	თ. მუხაძე (სახელი, გვარი)

შესრულებული საექსპერტო სამუშაოს ღირებულების საფასური და გადახდის წესი.

შესრულებული კვლევის კოდი (საქმთავრობის 13.05.2011 №215. დადგენილების მიხედვით) (დღგ-ს ჩათვლით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფკვლევის ერთეულზე (დღგ-ს ჩათვლით)	ჯამ (დღგ-ს ჩათვლით)
124 (დაწკარებული)	1	300x 2=600 ლარი	600 ლარი
142 (დაჩქარებული)	7	30 x7=210 x2=420 ლარი	420 ლარი
☐ (უბრალო ანგარიშწორება) ☐ (ნაღდი ანგარიშწორება)	ექსპერტიზის ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ციფრებით და სიტყვიერად)	ათას ოცი ლარი	1020 ლარი (თანხა ციფრობრივად)

შესრულებული ექსპერტის (ექსპერტების) ხელმოწერა

შესრულებული მომსახურების (ცნობის, დასკვნის) დამკვეთისათვის გადაცემის თარიღი 11 იანვარი 2012წ

მიმღები პირის ხელმოწერა

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი

(ხელმოწერა)

ბ.ა

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5-000621-2012
10 01 2012წ.

შპს "ახალი ოფისი"-ს წარმომადგენელს
ქალბატონ მარი ჭოჭიაშვილს

ქალბატონო მარი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში თქვენი 2011 წლის 30 დეკემბრის განცხადების საფუძველზე გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის №000275-2012/03/2 დასკვნას.

დანართი: ექსპერტის დასკვნა – 3 ფურცელზე.

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი

ბიუროს უფროსი

(995 32) 258 48
(995 32) 290 52
info@forensics.ge
(995 31) 13003
info@forensics.ge
(995 888222) 79
info@forensics.ge

გაფრთხილება

ყალბი დასკვნის (განზრახ არასწორი დასკვნის) ან ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის

ექსპერტი თეიმურაზ მუხაძე

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2011 წლის 30 დეკემბერს ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიღებულია შპს „ახალი ოფისი“-ს წარმომადგენლის ქალბატონ მარი ქოქიაშვილის განცხადება ქ თბილისში, კვალის ქ.№13 მდებარე 802 $მ^2$ ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების და აღნიშნულ ფართზე ღია ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობის დადგენის შესახებ დაჩქარებული წესით.

დაჩქარებული წესით ექსპერტიზის ჩატარება დამევალა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, კირიაკ ზაურიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის, სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტს თეიმურაზ მუხაძეს, ინჟინერ-მშენებელს უმაღლესი განათლებით, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით.

ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

„გაცნობებთ, რომ გვესაჭირობება ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ქ.თბილისი, კვალის ქ.№13 (ფართი 802 კვმ) არსებული მიწისქვეშა ნაგებობის შემოწმება სამშენებლო მდგრადობაზე და საექსპერტო დასკვნის მიღება თუ რამდენად არის შესაძლებელი ტექნიკური თვალსაზრისით ამ ტერიტორიაზე მიწისზედა ღია ავტოსადგომის მოწყობა“

ექსპერტის დასკვნა №000275-2012/03/2

შემოსვლის თარიღი: 30 დეკემბერი 2011 წ. გასვლის თარიღი: 09 იანვარი 2012 წ.

დასკვნა,

ქ.თბილისში, კვალის ქუჩა №13 მდებარე მიწისქვეშა ნაგებობის დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ნაგებობის თავზე ღია ავტოსადგომის მოწყობა „ა-ბ“ ღერძების ნაწილში შესაძლებელია. რაც შეეხება გადახურვის მონოლითურ ნაწილს, „ბ-გ“ ღერძებს შორის, საჭიროა არსებული ხვრელების გამონოლითება და ფილის წიბოების გამაგრება სათანადო დატვირთვის გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის მიხედვით

ექსპერტი: თეიმურაზ მუხაძე

კვლევა/გამოკვლევა

2012 წლის 4 იანვარს შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, კვალის ქ.№13 მდებარე შპს „ახალი ოფისი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების და 802 მ^2 ფართზე მიწისზედა ღია ავტოსადგომის მოწყობის დადგენის შესაძლებლობის საკითხი.

გასული საუკუნის 70 წლებში აშენებული მიწისქვეშა ნაგებობის გაბარიტული ზომებია გეგმაში 19,4x12,4 მ (სურ1).



სურ. 1 მიწისქვეშა ნაგებობის სქემატური გეგმა

მიწისქვეშა ნაგებობა ყოფილი ტელეგრაფის შენობის ტექნიკური მომსახურეობისათვის საჭირო ფუნქციას ასრულებდა. აქ განთავსებული იყო სადიზელო (სურ.2), სავენტილაციო და სხვა დანადგარები. 4,2 მ სიმაღლის მიწისქვეშა ნაგებობა ჩაღრმავებულია მიწის ზედაპირიდან 4,5 მ-ით. მისი კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მონოლითური ბეტონის 40 სმ სისქის კედლების ვარიანტში. ნაგებობის ძირითადი ფართი „ა-ბ“ ღერძებს შორის გადახურულია ანაკრები რ/ბ წიბოვანი ფილებით დამონტაჟებული 1,2 ღერძებზე მოწყობილ მონოლითური რ/ბ ტესებრი კვეთის კოჭებზე და ბეტონის კედლებზე (სურ.3, სურ.4). „ბ-გ“ ღერძებს შორის გადახურვის კონსტრუქცია შესრულებულია მონოლითური რ/ბ წიბოვანი ფილით, სადაც ორ ადგილას მოწყობილია დიდი ზომის სავენტილაციო შახტის ხვრელები (სურ.5). ნაგებობის გადახურვაზე მიწის ფენის სისქე 30-40 სმ-ს შეადგენს (სურ.6).

შემოწმებით დადგინდა, რომ „ა-ბ“ ღერძებს შორის გადახურვის კონსტრუქციის ანაკრებ ფილებსა და მზიდ კოჭებში დაზიანების ან დეფორმაციის ნიშნები არ აღინიშნება. აღნიშნულ კონსტრუქციებში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცე შემოწმებული არარღვევითი მეთოდით „300-350“ მარკის ფარგლებშია გადახურვაზე დამონტაჟებული ფილები მიეკუთვნებიან მიწისქვეშა საინჟინრო ნაგებობების იმ კონსტრუქციებს, რომლებიც გაანგარიშებული არიან მძიმე საავტომობილო დატვირთვებზე „Н30-НК80“.



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6

რაც შეეხება გადახურვის მონოლითური რ/ბ ნაწილს აქ ბეტონის მარკა „200-250“ ფარგლებშია. გადახურვის მზიდ რიგელებში აღინიშნება ბეტონის ფიზიკური დაზიანებები გამოწვეული ჩვენი აზრით დანადგარების დემონტაჟის დროს.

კვალის ჭუჩა №13 მდებარე მიწისქვეშა ნაგებობის დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ნაგებობის თავზე ღია ავტოსადგომის მოწყობა „ა-ბ“ ღერძების ნაწილში შესაძლებელია. რაც შეეხება გადახურვის მონილითურ ნაწილს, „ბ-გ“ ღერძებს შორის, საჭიროა არსებული ხვრელების გამონოლითება და ფილის წიბოების გამაგრება სათანადო დატვირთვის გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ექსპერტი: თ.მუხაძე